** სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო**

დავით აღმაშენებლის გამზ. **N79**
0102 თბილისი, საქართველო
info@heritagesites.ge

31 / მაისი / 2024 წ.

№ **17/1921**

KA990128484918324

სსიპ - სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოს გაყიდვების
მხარდაჭერის სამსახურის
შტატგარეშე მოსამსახურეს,
ქალბატონ თამარ გოგიშვილს

ქალბატონო თამარ,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 23 მაისის № 6/27728 წერილი, რომელიც ეხება ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფელ ტბაში მდებარე 1728 კვ.მ. დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემდგომ პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - "ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზა" (გის #16220) (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის 26/06/2017 #02/1 ბრძანება) ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალში, შესაბამისად, მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციები.

დასახელებული კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონად განისაზღვრება ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, რომელიც შედგება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალებისგან და დგინდება ძეგლის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით.

ფიზიკური დაცვის არეალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც დააზიანებს ან დაზიანების საფრთხეს შეუქმნის ძეგლს ან გააუარესებს მის აღქმას ან გამოყენებას, მათ შორის:

ა) იმგვარი მოქმედებები, რომლებიც გამოიწვევს მიწის მნიშვნელოვან ვიბრაციას ან დეფორმაციას;
ბ) ქიმიურ, ადვილად აალებად და ფეთქებად ნივთიერებათა შენახვა;
გ) ისეთი ობიექტების აღმართვა, რომლებიც არ ემსახურება ძეგლის დაცვას ან მისი გარემოს გაუმჯობესებას;
დ) მცენარეთა იმ სახეობების ან იმგვარად დარგვა, რომლებმაც ან რამაც შეიძლება დააზიანოს ძეგლი.

ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი არის ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ან/და ძეგლის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.

გაცნობებთ, რომ უძრავი ქონების შემდგომში განვითარების, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო ან/და მიწის სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში, საჭიროა ნებისმიერი ქმედება შეთანხმდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან, მათ შორის სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ

სააგენტოსთან.

დამატებით განგიმარტავთ, რომ დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის შემდგომი განაშენიანება, ძეგლთან უშუალო სიახლოვის გამო, მეტად საყურადღებოა. მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად იქნას შენარჩუნებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზის დაცვის ზონაში არსებული ბუნებრივი გარემო.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი